საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/13 **13/07/2021**

რეცენზია

0-6 წლის ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგისა და სკრინინგის რეკომენდაციები პირველად ჯანდაცვაში

რეცენზია

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციას რეცენზირებისთვის წარედგინა ჩეხეთის კარიტასისა და UNICEF-ის პარტნიორული თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში პედიატრიული ჯგუფის მიერ შემუშავებული პროტოკოლი: „0-6 წლის ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგისა და სკრინინგის რეკომენდაციები პრიველად ჯანდაცვაში“.

ბავშვობის პირველი წლები ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ყველაზე სწრაფი განვითარების პერიოდია, რომელიც, ამავე დროს, უნიკალური შესაძლებლობაა მომავალი წარმატებისათვის. სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვებს უყალიბდებათ ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები, ეყრება საფუძველი მათ კეთილდღეობას. პირველადი ჯანდაცვა მისი ყოვლისმომცველი, უწყვეტი და მაკოორდინერებელი ფუნქციებიდან გამომდინარე, სწორედ ის ადგილია, სადაც ოპტიმალურად შეიძლება განხორციელდეს ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა, პრევენციული მედიცინის დამკვიდრება, მშობლებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება ბავშვის აღზრდის თანამედროვე ასპექტებზე, რაც, ერთის მხრივ, შეამცირებს მწვავე და ქრონიკული დაავადებების სიხშირეს, მეორეს მხრივ კი, ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას, მისი სრული პოტენციალის გამოვლენას და მაქსიმალური სოციალური თანასწორობის მიღწევას.

სწორედ აღნიშნული საკითხებია განხილული წამოდგენილ პროტოკოლში, რაც ხელს შეუწყობს პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიმწოდებლებს, მოახდინონ ფოკუსირება არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ განვითარებისა და ქცევის საკითხებზე; გააუმჯობესონ კავშირი ოჯახებსა და პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის და უზრუნველყონ ბავშვის განვითარებაზე ხარისხობრივად უკეთესი სერვისების მიწოდება; გააუმჯობესონ განვითარებისა და ქცევის პრობლემების ადრეული გამოვლენა და ადეკვატური რეფერალი შესაბამის სპეციალისტებთან/სერვისში.

პროტოკოლში ნათლად არის ჩამოყალიბებული განვითარების სკრინინგსა და მეთვალყურეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, სკრინინგის დადებითი მხარეები

და შესაძლო პრობლემები, სკრინინგის შედეგების ინტერპრეტაცია და შესაბამისი მოქმედება სპეციფიკური პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში.

აღსანიშნავია პროტოკოლში წარმოდგენილი სკრინინგული ინსტრუმენტები, როგორიცაა მაგალითად, პრენატალური/პოსტნატალური დეპრესიის შკალა, განვითარების ნიშანსვეტები საშუალო ასაკის მიხედვით, მეტყველების და ქცევითი დარღვევების საშიშროების ნიშნები 0-6 წლის ასაკში, ქცევითი დარღვევების (აუტისტური სპექტრის დარღვევების) საშიშროების ნიშნები, აუტიზმის მოდიფიცირებული განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის M-CHAT-R™, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევენ ოჯახის ექიმებს განვითარების დარღვევების ადრეულ ეტაპზე გამოვლენაში.

ვფიქრობთ, განხილული პროტოკოლი წარმოადგენს უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის დანერგვა პირველად ჯანდაცვაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების სკრინინგსა და მეთვალყურეობას და შეამცირებს დაგვიანებულ გამოვლენასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ პროტოკოლის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის" პრეზიდენტი